საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37ლ-ში (აბულაძის ქ. №5), (ს/კ 01.14.14.003.149), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

ჩვენს მიერ 2017 წლის ოქტომბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37ლ-ში (აბულაძის ქ. №5), (ს/კ 01.14.14.003.149), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37ლ-ში (აბულაძის ქ. №5), (ს/კ 01.14.14.003.149), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „გეოლსერვის+“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2011 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თ. თევზაძე. მათ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 14 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები---------- 6 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 6 გვ.
5. გრაფიკი გრუნტების გრანულომეტრულ შედგენილობაზე---------- 1 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 9 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 5 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 2 ბლოკისგან შემდგარი („ა“ და „ბ“ ბლოკები), მრავალსართულიანი სახლები. მათ აქვთ მიწის ქვემოთ „ა“ ბლოკს – 2 სართულიანი, ხოლო „ბ“ ბლოკს კი 3 სართულიანი მიწისქვეშა ავტოსადგომები. შენობების ზომებია გეგმაში (80.0x60.0) მ. კონსტრუქციულად შენობები გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 9 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 90 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – თიხნარი ღორღისა და ხვინჭის ჩანართებით;
2. ფენა 2 – კენჭნარი, თიხნარის თხელი შრეებით;
3. ფენა 3 – თიხა, მუქი ყავისფერი, მტვროვანი ქვიშის შუაშრეებით.

ანგარიშში საკმაოდ ვრცლად არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. თიხების სიმტკიცის მაჩვენებლები დამუშავებულია სტატისტიკური მეთოდით. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს მომავალი შენობების ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №37ლ-ში (აბულაძის ქ. №5), (ს/კ 01.14.14.003.149), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჯოხონელიძე/